ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ - EMC-ს მიმოხილვა

11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში გამოქვეყნდა. დოკუმენტში შეფასებულია 2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა. გთავაზობთ EMC-ს მიერ, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე დაყრდნობით მომზადებულ მიმოხილვას.

ეთნიკური უმცირესობები

ანგარიშში აღნიშნულია რომ ცალკეული პროგრესის მიუხედავად უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, სახელმწიფოს მიერ გატარებული არასაკმარისი ღონისძიებების გამო. ანგარიშში მითითებულია, რომ უმცირესობების ჯგუფებში დაბალია ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, ვინაიდან სახელმწიფო უწყებები ნაკლებად ზრუნავენ ამ საკითხებზე უმცირესობის ჯგუფების ცნობიერების ამაღლებაზე. მედიაში არაერთხელ დაფიქსირდა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები უმცირესობების ჯგუფების მიმართ.

სახელმწიფო დეპარტამენტი ქართული ენის სუსტ ცოდნას ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს. უმცირესობის ზოგიერთ ჯგუფში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ენის ადეკვატური ცოდნა, როგორც სახელმწიფო სამსახურში დასაქმების წინაპირობა ხელს უშლით მათ სათანადოდ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. **აქვე აღნიშნულია, რომ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა კვლავ გამოწვევად რჩება, ცენტრალურ ხელისუფლებაში უმცირესობების დაბალი წარმომადგენლობის გამო.**

ასევე, ანგარიშში მითითებულია, რომ ხელისუფლება აგრძელებს ქართული ენის სწავლების 1+4 პროგრამას. კვოტირების სისტემის ქვეშ, მთავრობამ ეთნიკური უმცირესობებისთვის განსაზღვრა 12%-იანი ე.წ. დარეზერვებული კვოტა ყველა საბაკალავრო და უმაღლესი განათლების პროგრამაზე. ამ დარეზერვებული პროცენტებიდან, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი თემი იღებს 40%-ს, ხოლო აფხაზი და ოსი თემი თითოეული 10 %-ს.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ასევე ეხმაურება თემირლან მაჩალიკაშვილის სიკვდილის ფაქტს, რომელიც 2017 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ პანკისის ხეობაში ჩატარებული ოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. ანგარიშში ხაზგასმულია დროული, გამჭვირვალე, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების საჭიროებაზე. საქმეს უკვე განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თუმცა პარალელურად გარდაცვლილის მამა კვლავ სთხოვს საქართველოს პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნას.

გარდა ამისა ანგარიშში მითითებულია, მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმის შვილის, მორის მაჩალიკაშვილის საქმეზეც, რომელიც ივნისი საპროტესტო აქციების დროს დააკავეს. ანგარიშში მითითებულია იმ გარემოებაზეც, რომ მორის მაჩალიკაშვილის დაკავება ერთგვარი იძულების ბერკეტია ხელისუფლების ხელში, რათა მაჩალიკაშვილს მისი შვილის საქმის გამოძიების მოთხოვნა შეეწყვიტა.

პანკისი - 2019 წლის აპრილის სპეცოპერაცია

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოხვდა ასევე პანკისის ხეობაში დაწყებული კამპანია ჰესების წინააღმდეგ, რომელსაც უკავშირდებოდა ადგილობრივების და პოლიციის შეტაკება 2019 წლის აპრილში. ანგარიშში ნახსენებია, რომ გამოძიება დაიწყო პოლიციასთან წინააღმდეგობის ფაქტზე, თუმცა არავის აქვს ბრალი წაყენებული, მეორეს მხრივ, მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ პირობა დადო, რომ ჰესები არ აშენდებოდა მანამ სანამ მას არ ექნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის თანხმობა.

ადამიანის უფლებები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე

სახელმწიფო დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, მათ შორის გამოყოფს სიცოცხლის ხელყოფის უკანონო და თვითნებურ შემთხვევებს როგორც რუსების, ასევე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლების მხრიდან, უკანონო დაკავებებს და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პრობლემას, ასევე ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციულ დევნას და უფლებრივ შეზღუდვების გალის, ახალგორის, ოჩამჩირეს და ტყვარჩელის რეგიონებში.

ადამიანის უფლებათა დარღვევების მძიმე პრაქტიკას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ **ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს არ აქვთ წვდომა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დამოუკიდებელი მონიტორინგის შესაძლებლობა,** რაზეც გაეროს

ადამიანის უფლებათა კომისარიც არაერთ ანგარიშში უთითებს. გარდა ამისა ანგარიში უთითებს, რომ **„რუსული ბორდერიზაციის“ შედეგად ღრმავდება იზოლაცია** და განცალკევება ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა მაცხოვრებელ თემებს შორის, ბორდერიზაცია ერთმანეთისგან აშორებს ოჯახებს, ნათესავებს, აფერხებს განათლებაზე და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას და სხვა საბაზისო ადამიანურ საჭიროებებზე წვდომას.

ოკუპირებულ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში უფლების დარღვევის პრაქტიკას შორის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოყოფს ხმის მიცემის და სხვაგვარად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შეზღუდვას, საკუთრების უფლების, ბიზნესის რეგისტრაციის და მოგზაურობის უფლების შეზღუდვებს. ამ უფლებების დარღვევა განსაკუთრებით მძიმეა ეთნიკურ ქართველებთან მიმართებაში. გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია აფხაზეთის დე-ფაქტო წარმომადგენლების მხრიდან უკანონო და თვითნებური დაკავების, სიცოცხლის ხელყოფის და დე-ფაქტო პენიტენციურ სისტემაში წამების და არაადამიანური მოპყრობის სისტემური პრაქტიკის შესახებ. **ამგვარ ფაქტებს შორის არის 2019 წლის მარტში საქართველოს მოქალაქე ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება, როდესაც ის აფხაზეთში რუსი ე.წ. მესაზღვრეების ტყვეობაში იყო, „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით.** საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კვარაცხელიას შემთხვევას იმ უკანონო დაკავების პრაქტიკის გაგრძელებად მიიჩნევს, რომელიც საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში წლებია გრძელდება ადმინისტრაციული ხაზის ე.წ. უკანონო კვეთის გამო.

გარდა აფხაზეთისა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი საუბრობს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პენიტენციურ სისტემაში წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ. დეპარტამენტი მიუთითებს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც 2019 წლის 27 სექტემბერს მოშიმშილეები სასტიკად სცემეს, რადგან ისინი აპროტესტებდნენ არაადამიანურ პირობებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დე-ფაქტო წარმომადგენლები აიძულებდნენ პატიმრებს რომ ეჭამათ, რომლის შემდეგაც ზოგიერთმა მათგანმა თვითმკვლელობა სცადა. **სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სიტუაცია ქრონიკულად ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს.**

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხაზთან უკანონო დაკავებებს, ანგარიშში აღნიშნულია რომ ეს ფაქტები გახშირებულია. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა აგვისტოში 8 საქართველოს მოქალაქე დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის გამო. **აქვე აღნიშნულია ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის 9 ნოემბერს დაკავების ფაქტი**, რომელსაც ჯერ ორ თვიანი წინასასამართლო პატიმრობა მიესაჯა, შემდეგ 1 წელი და 9 თვე თავისუფლების აღკვეთა, თუმცა 28 დეკემბერს ის გაათავისუფლეს ე.წ. „შეწყალების აქტით“.

გარდა ამისა, გადაადგილების თავისუფლება შეეზღუდათ უცხოელებსაც, რომლებსაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ბოლო პერიოდია არ აძლევს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან შესვლის უფლებას, რაც აქამდე დასაშვები იყო საერთაშორისო მისიებისთვის და ორგანიზაციებისთვის.

გადაადგილების თავისუფლება კიდევ უფრო შეიზღუდა ეთნიკური ქართველებისთვის აფხაზეთში. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ აკრძალა საბჭოთა კავშირის დროს გაცემული პასპორტების გამოყენება დე-ფაქტო ტერიტორიაზე შესვლისთვის, რომლითაც აფხაზეთში ეთნიკური ქართველების უმრავლესობა სარგებლობდა. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულ ქართველებს აფხაზეთში უკან დაბრუნება მხოლოდ სპეციალური დოკუმენტების ფლობის შემთხვევაში შეუძლიათ. ისინი უნდა ფლობდნენ ან აფხაზურ ე.წ. პასპორტებს, მუდმივი ბინადრობის მოწმობას და დროებით სამგზავრო დოკუმენტს ე.წ. ფორმა 9-ს. დოკუმენტებთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესება თავის მხრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც უზღუდავს ეთნიკურ ქართველებს.

ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების თავისუფლება ეზღუდებათ ფუნდამენტური საჭიროებების მიღებისთვისაც, მათ შორის სამედიცინო დახმარების, პენსიის მიღების, განათლების და რელიგიური მსახურების მიზნით. ანგარიშში ხაზგასმულია ახალგორის ერთადერთი გადმოსასვლელის ჩაკეტვის ფაქტი დე-ფაქტო ორგანოების მხრიდან და ამ პირობებში ნახსენებია მარგო მარტიაშვილის გარდაცვალების შესახებ. მას დე-ფაქტო უწყებებმა 2019 წლის ოქტომბერში, არ მისცეს თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შესაძლებლობა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების პირობებში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, 2019 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით აფხაზეთთან არსებულ ადმინისტრაციულ საზღვარზე 11 ადამიანი დააკავეს, ხოლო სამხრეთ ოსეთთან 44 ე.წ. უკანონო საზღვრის კვეთის ბრალდებით. EUMM ის ინფორმაციით დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებულებს ხელს აწერინებენ რუსულენოვან დოკუმენტებზე, რომლის შინაარსით მათ არ ესმით.

გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებულ კრიტიკულ სიტუაციას ამძიმებს მიმდინარე ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. ანგარიშშია ნახსენებია გუგუთიანთკარში 2019 წლის აგვისტოში გავლებული მავთულხლართები და ღობეები, რომელმაც მოსახლეობას შეუზღუდა სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობა, რამდენიმე ადგილობრივმა მოსახლემ დაკარგა საკუთრება. Amnesty International-ის ცნობით, 2018 წლის ბოლოს დაახლოებით 34 სოფელი არის გაყოფილი ღობეებით, რაც კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე წვდომას ზღუდავს მათ შორის ფერმებზე, ირიგაციაზე, სასაფლაოებზე, საძოვრებზე.

ე.წ. საზღვრის თვითნებური ჩაკეტვის არაერთი შემთხვევა იყო აფხაზეთის რეგიონშიც, სადაც ორი გამშვები პუნქტია ენგურის ხიდზე და საბერიო-ფახულანის. იანვარში ერთი გამშვები პუნქტი ჩაიკეტა H1N1 ვირუსის პრევენციის მიზნით, რომელიც შემდეგ გაიხსნა. ხოლო 27 ივნისს რამდენიმე თვით ჩაიკეტა ორივე გამშვები პუნქტი, თბილისში ივნისში მიმდინარე საპროტესტო პროცესების გამო, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობას დიდი ხნით შეუზღუდა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის და უფლებების შეზღუდვის პრაქტიკა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებების მიერ. სახელმწიფო დეპარტამენტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვას. ქართული სკოლები დაიხურა და ეთნიკურად ქართველი მასწავლებლები დაითხოვეს რუსული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო. ქვედა გალის ტერიტორიაზე

პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს რუსულ ენაზე ასწავლიან. რუსული არის ერთადერთი სწავლების ენა ტყვარჩელში და ოჩამჩირეში. იმ პირობებში, როცა ამ რეგიონებში ეთნიკურად ქართველი სტუდენტები და მასწავლებლები ცუდად ფლობენ რუსულ ენას, რუსულ ენაზე სწავლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე. ეს აიძულებს ადგილობრივებს კერძო რეპეტიტორებს გადაუხადონ თანხა, თბილისის კონტროლირებადი ტერიტორიიდან მოახერხონ მასწავლებლების გადაყვანა ან სტუდენტები გააგზავნონ ქართულენოვან გაკვეთილებზე დასასწრებად ადმინისტრაციულ ხაზს მიღმა. განათლების მიღების მიზნით გალიდან სტუდენტები რთულად გადმოდიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოცდების ჩასაბარებლად, დაფიქსირდა საზღვარზე ჩუმად გადმოსვლისას ფიზიკური დაზიანების შემთხვევებიც. 2019 წლის შემოდგომაზე, EUMM-ის ინფორმაციით გაიზარდა სკოლის მოსწავლეების რაოდენობა რომელიც ადმინისტრაციულ ხაზს კვეთენ სწორედ განათლების პროცესში ენობრივი შეზღუდვების გამო.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქაც ნებისმიერი ასაკის ეთნიკურ ქართველს სთხოვენ რუსულ ენაზე სწავლას. გარდა ამისა ეთნიკური ქართველების დევნა და დისკრიმინაცია სხვა შემთხვევებშიც ხდება. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში უთითებს ახალგორში, თამარ მეარაყიშვილის საქმეზე, რომლის წინააღმდეგაც არაერთი სისხლის სამართლის საქმე დაიწყო, რაც მის ეთნიკურ ნიშანს უკავშირდება.

ამასთანავე, **სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინფორმაციით (ICRC) 2300 მდე ადამიანი კვლავ დაკარგულად მიიჩნევა 1992-93 და 2008 წლის კონფლიქტების შედეგად.** ხელისუფლებას არ აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი ეთნიკური ოსების ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევის, სოლთან პლიევის 2008 წელს გაუჩინარების გამოძიების საქმეში. ანგარიშში გაკრიტიკებულია ასევე ის ფაქტიც რომ სახელმწიფომ არ განაახლა ეუთოს დამოუკიდებელი ექსპერტის დუსან იგნატოვიჩის მანდატი ამ საკითხების გამოსაძიებლად.

სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე ხაზს უსვამს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლების დარღვევის განგრძობად პრაქტიკას. კერძოდ, აფხაზეთის დე-ფაქტო სამართლებრივი სისტემა უზღუდავს ეთნიკური ქართველებს 1992-93 წლებში დაკარგული ქონების დაბრუნებას. ხოლო 2019 წლის აპრილში დე-ფაქტო პარლამენტმა მიიღო „კანონი“ რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის უფლება ეზღუდება ყველას ვინც „იბრძოდა აფხაზეთის სუვერენიტეტის წინააღმდეგ, მონაწილეობდა აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში ან ეხმარებოდა ოკუპანტ ძალებს“. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ 2010 წელს დე-ფაქტო უწყებებმა გააუქმეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელიც გამოცემულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 1991-2008 წლებში ახალგორის რეგიონთან მიმართებაში. ასევე განისაზღვრა, რომ ნებისმიერი ქონება ახალგორში ეკუთვნის დე-ფაქტო ხელისუფლებას მანამ სანამ დე-ფაქტო კანონმდებლობით არ დადგინდება მოქალაქის საკუთრების უფლება, რაც თავის მხრივ 2008 წელს დევნილ ეთნიკურ ქართველებს უკრძალავს საკუთრების უფლების დაბრუნებას.

ძალადობა, დისკრიმინაცია და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სხვა დანაშაულები

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს შესახებ 2020 წლის ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს ლგბტი ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობაზე და კრიტიკულად მიმოიხილავს მათ წინააღმდეგ 2019 წელს განხორციელებულ დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში სახალხო დამცველის ინფორმაციაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ლგბტი ადამიანთა მიმართ არსებული ძალადობა, რომელიც ოჯახებსა და საჯარო სივრცეებში ხორციელდება, 2019 წელსაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, რომლის მიმართაც მთავრობის მიერ გამოყენებული ზომები არასრულყოფილი იყო. საქართველოს მთავრობის არაეფექტურმა პოლიტიკამ ლგბტი თემის ნდობა არსებითად შეარყია სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ, უნდობლობის გაძლიერებას ხელი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან გამოხატულ დისკრიმინაციულმა ენამაც შეუწყო ხელი.

ყურადსაღებია, რომ ანგარიში ასევე ეხება უფლებადამცველი ლგბტი სათემო ორგანიზაციებისა და მათ თანამშრომელთა უსაფრთხოების საკითხს. რასთან დაკავშირებითაც, ანგარიში იხმობს „თანასწორობის მოძრაობის“ თანამშრომელთა და მის ბენეფიციართა მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას, რამაც ორგანიზაცია იძულებული გახადა ოფისი შეეცვალა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისთვის ყურადსაღები იყო, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად როგორც დაზარალებულების, ისე სავარაუდო თავდამსხმელის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. გარდა აღნიშნულისა, დეპარტამენტმა ყურადღება გაამახვილა 2017 წელს „თანასწორობის მოძრაობის“ დირექტორისა და ქვიარ აქტივისტის წინააღმდეგ ქალაქ ბათუმში პოლიციელებისა და მესამე პირების მხრიდან ძალადობის საქმეზე და მიუთითა, რომ მიუხედავად ძალადობის ფაქტისა, სახელმწიფოს მხრიდან საქმეს დღემდე არ განუცდია პროგრესი.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკაში განხორციელების პრობლემურობას ლგბტი ადამიანებისთვის. ანგარიში მიმოიხილავს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებულ „პრაიდის კვირეულის“ ირგვლივ მომხდარ მოვლენებს, მათ შორის, ანტი-ლგბტი ჯგუფების მხრიდან ძალადობისაკენ საჯაროდ მოწოდებას და მათ მიერ ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფების ჩამოყალიბებას ლგბტი ადამიანთა შეკრების დასარბევად და მათთვის ფიზიკური ზიანის მისაყენებლად. ანგარიში აღნიშნავს, რომ „პრაიდის“ ორგანიზატორებს დაგეგმილი ღონისძიებების რამდენჯერმე გადატანა მოუწიათ ძალადობის მუქარისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დაცვის გარანტიების მიუღებლობის გამო. ანგარიში მიუთითებს, რომ 8 ივლისს „პრაიდის“ ორგანიზატორებმა თბილისის გარეუბანში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის წინ მცირე მარშის ჩატარება მოახერხეს, რითიც თავი აარიდეს ანტი-ლგბტი ჯგუფებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ მოემართებოდნენ და მიუხედავად გაფრთხილების არარსებობისა, პოლიციაც იყო მობილიზებული მშვიდობიანი შეკრებით მოსარგებლეთა დასაცავად.

ქალთა უფლებები

ანგარიშში კრიტიკულად არის მიმოხილული საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო მიერ მიღებული ზომები, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ძალადობის პრევენციისთვის არასრულყოფილად და არაეფექტურად მიიჩნევს.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის მიმოხილვისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის შეფასებასთან ერთად, ანგარიში ასევე მიმოიხილავს ქალთა მიმართ საზიანო პრაქტიკას. ანგარიში აღნიშნავს, რომ ქალთა მოტაცება ქორწინების მიზნით მხოლოდ ზოგიერთ არეალებსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხდება, თუმცა ის იშვიათია. ანგარიში შეეხო 2019 წლის ოქტომბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებულ გამოძიებას მასწავლებლის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე, რაც მისი მოსწავლის იძულებითი ქორწინების საჯარო გამოხმაურებას მოჰყვა. საინტერესოა, რომ ანგარიში აღნიშნულ ინციდენტთან კავშირში ახსენებს აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ შექმნილ სოციალურ კამპანია „სალამ“-ს, როგორც ადრეული და იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ შექმნილ ადვოკატირების კარგ მაგალითს.

გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების გარანტირების მიუხედავად დღის წესრიგში რჩება არაერთი პრობლემური საკითხი, მათ შორის, მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია პროფკავშირების წევრობის ნიშნით პირის მიმართ დისკრიმინაცია, კანონი ცხადად არ ადგენს ამგვარი დასაქმებულების სამუშაოზე აღდგენის შესაძლებლობას.[1]სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე გამოწვევად ხედავს გაფიცვის უფლების რეალიზების საკითხსაც. კერძოდ, დეპარტამენტის შეფასებით გადასახედია ნორმატიულად დადგენილი იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებშიც გაფიცვა დაუშვებელია. ასევე პრობლემურადაა მიჩნეული ამ სფეროებში გაფიცვის უფლების შეზღუდვისთვის კომპენსაციის გარანტიის არარსებობა.

სახელმწიფო დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს დასაქმებულთა გაერთიანების უფლების რეალიზების არაეფექტიანობის პრობლემაზე, რასაც. ადეკვატური სანქცირების მექანიზმის არარსებობას, შრომის ინსპექციის შეზღუდულ მანდატსა დამედიაციის სისტემის არასათანადო საქმიანობას უკავშირებს.[2]

---

[1] Georgia 2019 Human Rights Report, 48 ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/03/GEORGIA-2019-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf

[2] იქვე, 48

იძულებითი შრომის აკრძალვა

ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება იძულებითი შრომის აკრძალვის საკითხი. იძულებითი შრომის კრიმინალიზების მიუხედავად, სახელმწიფო უწყებები ამ პრობლემასთან ბრძოლას ეფექტიანად ვერ ახერხებენ.[3] კერძოდ, განსაკუთრებით დაბალია მსგავსი საქმეების შესახებ გამოძიებები, რაც შეიცავს იძულებითი შრომის წახალისების რისკებს.[4] დეპარტამენტის შეფასებით, სახელმწიფოს ადეკვატურ მუშაობას ძირითადად ხელს უშლიდა შრომის ინსპექტორების სიმცირე.[5]

ბავშვთა შრომის აკრძალვა და დასაქმების მინიმალური ასაკი

ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებით გასააქტიურებელია სახელმწიფოს საქმიანობა ბავშვთა შრომის აკრძალვის კუთხით. დეპარტამენტი მიუთითებს ამ მიმართულებითგამოძიებათა განსაკუთრებულ სიმცირეზე, რაც აძლიერებს ეჭვს კანონმდებლობის არაეფექტურად აღსრულების შესახებ.[6] მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება საქართველოს რეგიონებში არსებულ ვითარებაზე ბავშვებთა განათლების უფლების შეზღუდვის კუთხით: რიგ შემთხვევაში ამას განაპირობებს საოჯახო ვალდებულებების ფარგლებში ბავშვთა შრომა (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში), ან მათი შორეულ რეგიონში დასაქმება.[7] არსებითი ნაბიჯებია გადასადგმელი ბავშვების ქუჩაში მათხოვრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად.[8]

შრომითი უფლებები და დისკრიმინაცია

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ ისევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამუშაო სივრცეში დისკრიმინაციის საქმეების პროაქტიული გამოძიების ორგანოს არარსებობა.[9] ანგარიშის თანახმად, დისკრიმინაციის შემთხვევათა დიდი ნაწილი მიემართებოდა ქალებს. ასევე დისკრიმინაციის შემთხვევები დაფიქსირდა ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, პროფესიული კავშირის წევრობის, ეთნიკური, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

ღირსეული სამუშაო პირობები

ანგარიშის თანახმად, საქართველოში შრომის არასათანადო პირობები სხვადასხვა კომპონენტში გამოიხატება. მათ შორის არის მინიმალური ხელფასის საკითხი, რომელიც

---

[3] იქვე, 49
[4] იქვე, 49
[5] იქვე, 49
[6] იქვე, 50
[7] იქვე, 50
[8] იქვე, 50
[9] იქვე, 51

კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებულებისთვის ოფიციალურ საარსებო შემოსავლის დონეზე დაბალი იყო.[10]

ანგარიშში საუბარია საქართველოში მოქმედ სამუშაო დროის შესახებ საკანონმდებლო რეგულირებებზე (როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით), ამ თვალსაზრისით ორსული და მეძუძური ქალებისთვის დაწესებულ გარანტიებზე. რაც შეეხება ზეგანაკვეთურ შრომას, გამოწვევაა, რომ კანონმდებლობა ნათლად არ კრძალავს „გადამეტებულ ზეგანაკვეთურ სამუშაოს".[11] დოკუმენტში მითითებულია, რომ **გადასახედია შრომის ინსპექციის მანდატი,** რათა მან სათანადოდ დაიცვას დასაქმებულები სამუშაო დროსთან, ასევე ხელფასთან დაკავშირებული უფლების დარღვევებისას.[12] ანგარიში ქვეყნისთვის გამოწვევად ასახელებს მიგრანტ დასაქმებულთა უფლებების დაურეგულირებლობის პრობლემას..[13]

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში შრომის პირობების დარღვევათა გამოვლენის ნაკლებ ეფექტიანობაზე მიუთითებს (მაგალითად, უსაფრთხოების წესების დაცვა; დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევა) და ამ შემთხვევაშიც პრობლემის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად შრომის ინსპექტორთა არასაკმარის რაოდენობას ასახელებს.[14]

დეპარტამენტი ასევე პრობლემურადგამოკვეთს სამთო მოპოვებით და სამშენებლო სექტორებს, რომლებიც კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველიაგარდაცვალების, დაშავების მაღალი მაჩვენებლის, დაურეგულირებელი სამუშაო საათების და სხვა უფლებების დარღვევების გათვალისწინებით.[15]

სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტება

ანგარიშში მითითებულია რამდენიმე შემთხვევა, სადაც იკვეთებოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის თუ ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტები. **ანგარიშში სპეციალური ადგილი აქვს დათმობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეს, რომელიც თბილისის ცენტრიდან გაიტაცეს და მოულოდნელად აღმოჩნდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. აღნიშნულ საქმეზე წარმართული არაეფექტური გამოძიება არაერთხელ გახდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთების საგანი.** ამავდროულად, ამ საქმეზე მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლების განცხადებამ (მაგალითად ვახტანგ გომელაურის ნათქვამმა, რომ ,,ზოგიერთ გამოძიებას არასდროს მოაქვს შედეგი") უფრო მეტად გაამძაფრა ეჭვი ამ საქმეში ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობის თაობაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტი ასევე ეყრდნობა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს და მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ომბუდსმენის ოფისმა 92 წერილი მიიღო

[10] იქვე, 51
[11] იქვე, 52
[12] იქვე, 52
[13] იქვე, 52-53
[14] იქვე, 52
[15] იქვე, 53

პოლიციელებისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესახებ, საიდანაც 19-ზე წარიმართა გამოძიება (18 - უფლებამოსილების შესაძლო გადამეტება; 1 - შესაძლო არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა), თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთ შემთხვევაზე არ დაწყებულა. სახალხო დამცველის ოფისის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, თითქმის გაორმაგდა ინდივიდებისთვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობა დროებით მოთავსების იზოლატორებში, ან ადმინისტრაციული დაკავებისას ან მას შემდეგ.

რაც შეეხება სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა შეისწავლა 367 შემთხვევა, რომელიც შეეხებოდა პენიტენციური და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებს. შედეგად, ბრალი წაუყენეს 3 პირს, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მოტივით.

ანგარიშში ასევე მითითებულია პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაც დაკავშირებულია არასაკმარის ვენტილაციას, ბუნებრივი შუქის არარსებობას, არაადეკვატურ სივრცესა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი სერვისების სიმცირეს. ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული თვითნებური დაკავებების, ან დაპატიმრების რისკები და ამის მაგალითად მოყვანილია 20-21 ივნისის მოვლენები, რა დროსაც ზოგიერთი პირის დაკავება იყო პოლიტიკურად მოტივირებული.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებას უკავშირდება, პირის მოწმის სტატუსით დაბარებას უკავშირდება. რა დროსაც, მოქალაქე არ სარგებლობს ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გარანტიებით და ასე ხდება მისგან ჩვენების მიღება, ხოლო ამის შემდეგ ხდება მისი დაპატიმრება. ასევე ანგარიშში ნახსენებია პოლიციის მიერ მოწმისგან ჩვენების იძულებით მიღება პოლიციის განყოფილებაში, ან პოლიციის მანქანაში. აგრეთვე პრობლემურია მოქალაქესთან სამართალდამცავის კომუნიკაციის ადეკვატური დაოქმება.

მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი

ანგარიშში ყურადღება დათმობილი აქვს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საკითხს და აღნიშნულია, რომ არსებობს კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კუთხით. აგრეთვე სათანადოდ არაა დაზღვეული, რომ მოსამართლეები იყვნენ მოწყვლადები პოლიტიკური ზეწოლის მიმართ, როგორც სასამართლო სისტემის შიგნიდან ისევე მის მიღმა. ანგარიშში ნახსენებია სახალხო დამცველის, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ და საერთაშორისოს საზოგადოების შეფასებები, სადაც ისინი მიუთითებენ სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ პრობლემებზე. მათ შორის, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის (რომელთა შორისაც სავარაუდოდ არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

წევრები და სასამართლოების თავმჯდომარეები) მიერ კრიტიკული აზრის ჩახშობა და სასამართლოს გაძლიერების კუთხით წამოსული ინიციატივების დაბლოკვა; სხვა პრობლემებს შორის სახელდება უმაღლესი საბჭოს შესაძლებლობები, გავლენა მოახდინოს ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობაზე, ასევე საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაზე კანონგარეშე მანიპულაციების შესაძლებლობა და უმაღლესი საბჭოს საქმიანობის არაგამჭვირვალობა.

ანგარიშში სპეციალურად არის ყურადღება გამახვილებული გასული წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე მოსამართლეთა შერჩევის პროცესზე და მითითებულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეს პროცესი შეფასდა როგორც მკვეთრად არაპროფესიონალური. ასევე აღნიშნულია, რომ ამ პროცესში ტრანსფარენტულობის კუთხით გამოვლენილ ხარვეზებს შესაძლოა დაერღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი (ეუთო/ოდირის დასკვნის მიხედვით).

სამართლიანი სასამართლო

ანგარიში ხაზს უსვამს სამართლიანი სასამართლო პროცესის კუთხით არსებულ არაერთ დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებს. ასევე მითითებულია, რომ სასამართლო განხილვების დახურულ რეჟიმში ჩატარება ხშირად დაუსაბუთებელი იყო. ანგარიში ასევე პრობლემურად არის წარმოჩენილი ზოგიერთი სასამართლო პროცესის გაჭიანურება, რაც სამართლიანი მართლმსაჯულების განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში არ იყო საკმარისად დასაბუთებული.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართული კანონმდებლობა ბრალდებულებს ანიჭებს ადვოკატებთან შეხვედრის უფლებას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ზედამხედველობისა და არასათანადო დაბრკოლებებისგან. ამავდროულად, საკმარისი სახსრების არმქონე პირებისთვის გათვალისწინებულია სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის შესაძლებლობა, თუმცა ამის მიუხედავად დაცვის მხარეს არ ეძლევა ხოლმე საკმარისი დრო და შესაძლებლობები სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სახაზინო ადვოკატები ხშირად არ ერთვებიან საქმეში ბრალდების წარდგენამდე ან საპროცესო მოლაპარაკებების დაწყებამდე, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს დაცვის მხარის ინტერესებს.

მნიშვნელოვანია საპროცესო შეთანხმების პროცედურებთან დაკავშირებული ხარვეზებიც. კერძოდ, კანონმდებლობა მოითხოვს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას მტკიცებულებითი სტანდარტი იყოს საკმარისი ბრალდებულის დამნაშავეობის დასასაბუთებლად, საქმის სრულად განხილვის გარეშე. ანგარიში მიუთითებს, რომ სასამართლოები სათანადოდ არ იკვლევდნენ ნაბაყოფლობითობის საკითხს საპროცესო შეთანხმებას.

პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ან დაპატიმრებული პირები

სახელმწიფო დეპარტამენტი მიუთითებს, რომ გაიზარდა პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და ბრალდების შემთხვევები. ანგარიში ასახელებს რამდენიმე შემთხვევას, კერძოდ: თიბისი ბანკის დამფუძნებლების, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ყოფილი დირექტორის, ტელეკომპანია პირველის მფლობელის მამის და ივნისის პროტესტის მონაწილეების დაკავების (მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილის) საქმეები.

ამ კონტექსტში ასევე აღსანიშნავია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვები. კერძოდ, აქციებსა და მანიფესტაციებზე დაკავებული პირების მიმართ ადმინისტრაციული საქმისწარმოება და მათთვის შეფარდებული სანქციები. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მოქმედი სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს სათანადო გარანტიებს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევები

სახელმწიფო დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე. მაგალითად, ანგარიში ასახელებს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან დამოუკიდებელი აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისა და აქტივისტების თვალთვალის (monitoring) შემთხვევას. ასევე, დეპარტამენტი მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფარული მეთვალყურეობის სისტემის გამოყენების პრობლემურობაზე, მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და ზედამხედველობის ნაკლებობაზე.

ამ ნაწილში ანგარიში გამოარჩევს პარლამენტის დეპუტატის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შემთხვევას, რომელიც ააშკარავებს ამგვარი ფარული ზომების გამოყენების პოლიტიკურად მოტივირებულ ბუნებას. უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების კონტექსტში კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნულ შემთხვევებზე არაეფექტური გამოძიების წარმოება და მათი პირველწყაროს იდენტიფიცირება.

აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსთვის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელების განხილვა ფარული ელექტრონული მიყურადების საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის თანახმად, კანონით კვლავაც არ არის განმტკიცებული საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს ფარული ელექტრონული თვალთვალის მაკონტროლებელი დამოუკიდებელი ორგანო.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოხვდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და ამ პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. როგორც ანგარიში მიუთითებს, პირველი ტური იყო

კონკურენტული და პროფესიონალურად დაგეგმილი. თუმცა მაინც ფიქსირდებოდა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, არათანაბარი პირობები, კერძო მედიის მკვეთრი პოლარიზაცია, უხეში რიტორიკა და ნეგატიური კამპანია, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც გაზარდა მმართველი ძალის წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ დონეებზე და სხვა. მსგავსი ტიპის დარღვევებმა უფრო მკვეთრი სახე მიიღო არჩევნების მეორე ტურში.